

**ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო მოწმობის და რეგისტრაცია-აღწესების
მოწმობის გაცემის წესი**

მიზანი

ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო მოწმობის და რეგისტრაცია-აღწესების მოწმობის დაბეჭდვის და გაცემის პროცედურის უზრუნველყოფა.

ტერმინთა განმარტება

სარეგისტრაციო მოწმობა და რეგისტრაცია-აღწესების მოწმობა - ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს ბაზარზე დაშვების შემდეგ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი.

გაცემა

საქართველოს ბაზარზე დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტის სარეგისტრაციო მოწმობა და რეგისტრაცია-აღწესების მოწმობა გაცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კანცელარიიდან ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს 15:00დან 17:00საათამდე.